F 75/2 Წ 13919

პროლეტარიანებო, ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1943 წ. № 123 (6748). ᲤᲐᲡᲘ 20 ᲙᲐᲞ.

მეორე სამხედრო სესხის ბრწყინვალე წარმატება

ჩვენი სახელოვანი სამშობლოსათვის უდიდესი სიამაყით, დიდი სიხარულით წაიკითხავს დღეს საბჭოთა ხალხი ფინანსთა სახალხო კომისარიატის ცნობას ახალი სესხის ბრწყინვალე წარმატების შესახებ. მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხი, რომელიც გამოშვებულია 12 მილიარდი მანეთის თანხით, დღე-ღამის განმავლობაში გავრცელებულია 14-ნახევარი მილიარდის რაოდენობით.

მხოლოდ ერთი დღე-ღამის განმავლობაში! ბრწყინვალე წარმატებაა! განცხადება ახალი სესხის გამოშვების შესახებ თითქოს ხიგნალი გახდა საბჭოთა ძალების ახალი დათვალიერებისა, და მთელი ხალხი ერთიანი მძლავრი სულისკვეთებით გამსჭვალული აღსდგა, რათა მოეხდინა საბრძოლო დემონსტრაცია თავისი მონოლიტური დარაზმულობისა, თავისი ურყევი ერთიანობისა, თავისი გამარჯვების უტეხი ნებისყოფისა, თავისი მზადყოფნისა ბოლომდე შეასრულოს წმიდა მოვალეობა სამშობლოს წინაშე.

საბჭოთა სახელმწიფო სესხები მუდამ უდიდესი წარმატებით სარგებლობდნენ ხალხში, მაგრამ **ასეთი** წარმატება ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა. შარშანდლამდე სესხის გამოცხადებული თანხის გავრცელებას ჩვეულებრივად რამდენიმე დღე უნდებოდა. შარშან პირველი სამხედრო სესხი, გერმანელ დამპყრობლებთან საბჭოთა ხალხის სამამულო ომის სესხი, გავრცელებულ იქნა ორი დღის განმავლობაში. ახლა კი მეორე სამხედრო სესხის თანხა მნიშვნელოვნად არის გადამეტებული პირველსაც დღე-ღამეში.

შარშან სესხის გამოცხადებული თანხა ორი დღის განმავლობაში 68 მილიონ მანეთის გადამეტებით გავრცელდა. წელს სესხის გამოცხადებული თანხა ერთი დღე-ღამის განმავლობაში 2-ნახევარი მილიარდი მანეთის გადამეტებით გავრცელდა! შარშან ხელმოწერის თანხამ პირველ დღეს 7.470 მილიონი მანეთი შეადგინა. წელს ხელმოწერის თანხამ 14.561 მილიონი მანეთი შეადგინა. თითქმის ერთიორად მეტი!

მოწოდებაზე — მიეცათ სესხად საბჭოთა სახელმწიფოსათვის 3-4 კვირის ხელფასი—მუშათა კლასმა, საბჭოთა ინტელიგენციამ უპასუხეს თვიურ და მეტ ხელფასზე ხელმოწერით. კოლმეურნეობისადმი მოწოდებაზე — მიეცა სესხად თავისი დანაზოგი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების შემდგომი გადიდებისათვის—კოლმეურნეებმა უპასუხეს ხელმოწერის მაღალი თანხებით, რომლებიც შეადგენენ ათეულ ათას მანეთს, ხოლო ბევრ შემთხვევაში ასეულ ათას მანეთსაც კი. გლეხობის შემოსავლის ზრდამ შესაძლებლობა მისცა კოლმეურნეებს ხელმოწერის მნიშვნელოვანი თანხა ნაღდ ფულად შეეტანათ. მარტო ერთი დღე-ღამის განმავლობაში საბჭოთა გლეხობამ ნაღდ ფულად 2 მილიარდამდე მანეთი შეიტანა. ეს თითქმის შვიდჯერ მეტია, ვიდრე შარშან იყო!

დღეს შეიძლება ითქვას, რომ მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხის გავრცელების წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ხალხის ინიციატივამ, ხალხის აღფრთოვანებამ უმაგალითო სიმაღლეს, უმაგალითო გაქანებას მიაღწია ჩვენს ქვეყანაში.

სესხის ბრწყინვალე წარმატება საბჭოთა ადამიანების შეგნებულობის შედეგია. უცხოელი დამპყრობლებისაგან, წყეული გერმანელი უაჩალებისაგან სამშობლოს დაცვის იდეა ჰფლობს მილიონებს. საზიზღარ მტერთან ბრძოლა ყოველი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლის საქმე გახდა. შეგნება ამ საშიშროებისა, რომელიც კვლავ ემუქრება ჩვენს სამშობლოს, უკარნახებს ყოველ საბჭოთა ადამიანს მთელი თავისი ძალები და საშუალებები მიიტანოს სამშობლოს საკურთხეველზე. ჩვენმა ხალხმა მაღალი შეგნებულობა გამოიჩინა და სესხზე ხელმოწერით ერთხელ კიდევ დაადასტურა თავისი ნებისყოფა — იბრძოლოს გერმანელი ოკუპანტების სრული განადგურებისათვის. ჩვენი თავისუფალი საბჭოთა ქვეყნის აყვავებისათვის.

სესხის ბრწყინვალე წარმატება საბჭოთა ორგანიზებულობის შედეგია. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, პარტიულმა და უპარტიო საბჭოთა აქტივისტებმა გვიჩვენეს დიდი პოლიტიკური კამპანიის უნარიანად ჩატარების ნიმუში. იმისათვის, რომ ათობით მილიონ ადამიანს მოეწერა ხელი სესხზე, საჭირო იყო უდიდესი მოსამზადებელი საორგანიზაციო და ორგანიზაციულ-ტექნიკური მუშაობის ჩატარება. ეს მუშაობა ბოლშევიკური გულმოდგინებით შესრულდა. სესხზე ხელმოწერის ორგანიზაცია ჩვენი კადრების სიმწიფის, მასებთან მათი უაღრესად მჭიდრო კავშირის მაჩვენებელია.

მეორე სამხედრო სესხს თანაბარი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა საზოგადოების ყველა ფენაში, ქალაქად და სოფლად, ფრონტზე და ზურგში. ხელს აწერენ რა სესხს, ზურგის მშრომელნი ამბობენ: „ვურტყაათ მტერს შანეთითაც და შრომითაც“. ხელს აწერენ რა სესხს, ფრონტის მებრძოლნი ამბობენ: „ვურტყაათ მტერს ტყვიითაც და მანეთითაც“. სესხზე ხელმოწერამ კვლავ ცხადჰყო ფრონტისა და ზურგის ერთიანობა ჩვენს ქვეყანაში.

ვერაგულად დაესხნენ რა თავს საბჭოთა კავშირს, ჰიტლერელი ავანტიურისტები ვარაუდობდნენ — საბჭოთა წყობილება მტკიცე არ არის, საბჭოთა ზურგი მტკიცე არ არისო. ჰიტლერელი არამზადები ვარაუდობდნენ, რომ მუშებსა და გლეხებს შორის კონფლიქტები მოხდებოდა, რომ სსრ კავშირის ხალხებს შორის უთანხმოება ჩამოვარდებოდა.

სამამულო ომის ორმა წელმა გვიჩვენა, თუ რა სამარცხვინოდ ჩაიფუშა გერმანელ დამპყრობთა ვარაუდები. ომის ცეცხლში კიდევ უფრო განმტკიცდა მუშათა და გლეხთა კავშირი, კიდევ უფრო გამოიწრთო საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა. გერმანელ ოკუპანტებთან ომმა სსრ კავშირის ხალხთა ოჯახი გადააქცია ერთიან მებრძოლ ბანაკად, რომელიც თავდადებით ეხმარება თავის წითელ არმიას, თავის წითელ ფლოტს. სესხის წარმატება საბჭოთა ზურგის უდიდესი სიმტკიცის ახალი დამამტკიცებელი საბუთია. სესხის წარმატება წითელ არმიას უჩვენებს, რომ მის ზურგს უკან დგას ძლიერი საბჭოთა ხალხი, ძალ-ღონით აღსავსე, გამარჯვების რწმენით აღსავსე. სესხის წარმატება მთელ მსოფლიოს უჩვენებს საბჭოთა ხალხის პატრიოტიზმს. ასეთი ხალხი უძლეველია!

მეორე სამხედრო სესხზე ხელმოწერა გრძელდება. ჩვენს ვეებერთელა ქვეყანაში, სადაც მრავალმილიონიანი მოსახლეობა ცხოვრობს, ერთი-ორი დღის განმავლობაში შეუძლებელია ყველა იქნას ჩაბმული ხელმოწერაში. ქალაქის მუშების ნაწილი იმყოფება სათბობის დამზადების სამუშაოებზე ტყეში, ტორფის დამუშავების პუნქტებში, მიველინებებში. ამავე დროს კი სესხზე ხელმოწერის გაფორმება მათი ძირითადი მუშაობის ადგილის მიხედვით ხდება. სოფლადაც სესხის გამოცხადების დღეს ყველა მცხოვრები რომელი იყო ადგილზე. ამიტომ მუშაობა სესხის გასავრცელებლად მთელი ენერგიით უნდა გაგრძელდეს. საკმარისია აღვნიშნოთ ერთი ოლქის—რიაზანის ოლქის მაგალითი. ამ ოლქმა ძალიან კარგად დაიწყო სესხზე ხელმოწერა. 5 ივნისს, დღის დადლევისათვის. სარეალიზაციოდ დასახული ხელმოწერის თანხა გადამეტებით იყო გავრცელებული როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამავე დროს კი პირველი დღე-ღამის განმავლობაში სესხზე ხელმოწერა კოლმეურნეთა დაახლოებით 63-64 პროცენტმა მოასწრო. დანარჩენ კოლმეურნეთა შორის სესხზე ხელმოწერა, უეჭველია, კიდევ უფრო გაადიდებს ხელმოწერის თანხას რიაზანის ოლქში. ასეთივე მდგომარეობაა სხვა ოლქებშიც. პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს უნდა ახსოვდეთ ლოზუნგი: **„არც ერთი მშრომელი მეორე სამხედრო სესხის უობლიგაციებოდ!“.**

სესხზე ხელმოწერა ყოველი საბჭოთა მოქალაქის პატრიოტული მოვალეობაა. სესხზე ხელმოწერის ენერგიულად განგრძობით ჩვენ მივაღწევთ ახალი და ახალი ასეული მილიონობით მანეთის შემოსვლას თავდაცვის ბიუჯეტში.

— დაე ჩვენი მანეთები გადაიქცნენ ტყვიებად, რომლებიც თავს დაატყდებიან მტერს. დაე ჩვენი ობლიგაციები გადაიქცნენ ყუმბარებად, რომლებიც გაანადგურებენ მტრის სიმაგრეებს!

ეს არის ლენინგრადელ მუშა დობრეცოვის სიტყვები, რომლებიც მან მეორე სამხედრო სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილ მიტინგზე სთქვა. მან კარგად სთქვა! სამხედრო სესხის მილიარდობით მანეთები გამანადგურებელ ცეცხლად დაატყდებიან თავს მტერს და მოაახლოებენ ჩვენი გამარჯვების ნათელ ჟამს.

წითელი არმია, რომელსაც მხარს უჭერს მთელი ხალხი, რომელსაც მიუძღვის დიდი მხედართმთავარი ამხანაგი **სტალინი,** გასწმენდს მშობლიურ მიწა-წყალს გერმანელი ოკუპანტებისაგან!

„პრავდის“ მოწინავე, 7/VI.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ი. კალინინის მისასალმებელი დეპეშა ავღანეთის მეფე მოჰამედ ზაჰირ შაჰისადმი

ავღანეთის ნაციონალური დღესასწაულის დღისათვის 27 მაისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ი. კალინინმა შემდეგი მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ავღანეთის მეფე მოჰამედ ზაჰირ შაჰს:

„ავღანეთის დამოუკიდებლობის 25 წლისთავის გამო ჩემს გულწრფელ მილოცვას ვუთვლი თქვენს უდიდებულესობას, აგრეთვე ვუსურვებ თქვენს ქვეყანას წარმატებასა და აყვავებას“.

ავღანეთის მეფე მოჰამედ ზაჰირ შაჰის საპასუხო დეპეშა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ი. კალინინისადმი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ი. კალინინის მისასალმებელი დეპეშის პასუხად, ავღანეთის მეფე მოჰამედ ზაჰირ შაჰმა შემდეგი დეპეშა გამოგზავნა:

„მადლობას ვუთვლი თქვენს ალმატებულებას თავაზიანი მოლოცვისათვის და ვუსურვებ თქვენს, აღმატებულებას თქვენი ქვეყნის სიდიადესა და აყვავებას“.

ჩვენი ავიაციის თავდასხმა რკინიგზის კვანძ უნეჩაზე

6 ივნისს ღამით ჩვენმა შორსმოქმედმა ავიაციამ დიდი თავდასხმა მოახდინა რკინიგზის კვანძ უნეჩაზე (ორიოლის ოლქი) და დაბომბა მოწინააღმდეგის საომარი მასალის, საწვავის და საწყობები და თავ-მოყრილი რკინიგზის ეშელონები. დაბომბვის შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა და ძლიერი აფეთქება მოხდა.

ყველა ჩვენი თვითმფრინავი, ერთს გარდა, თავის ბაზაში დაბრუნდა.

საბჭოთა პატრიოტიზმის დიადი დემონსტრაცია

სესხი გადამეტებით არის გავრცელებული ერთი დღე-ღამის განმავლობაში

Ა. წ. 5 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ 12 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲔᲡᲮᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ-ᲦᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 14 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ 561 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲔᲡᲮᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ-ᲦᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ 14 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ 561 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡᲐ, ᲠᲐᲪ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ 2 ᲛᲘᲚᲘᲐᲠᲓᲘ 561 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲛᲔᲢᲔᲑᲐᲡ.

ᲡᲔᲡᲮᲖᲔ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲠᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ.

სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარი Ა. ᲖᲕᲔᲠᲔᲕᲘ.

6 ივნისი.

ქალაქებსა და სოფლებში

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი

ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲠᲘ (ტელეფონით). სამი დღის განმავლობაში სამხრეთ-ოსეთის რაიონების მშრომელებს შორის გავრცელებულია 14.200.000 მანეთის სესხი. ამ თანხიდან ნაღდად არის შეტანილი 5.290.000 მანეთი. წელს სამი დღის განმავლობაში სესხზე ხელმოწერის თანხა სამჯერ აჭარბებს გასული წლის სესხზე 3 დღის განმავლობაში ხელმოწერილ თანხას.

სამხრეთ-ოსეთის რაიონების კოლმეურნეებს შორის გავრცელებულია 12.000.000 მანეთის სესხი. მთელ რიგ კოლმეურნეობებში კოლმეურნეები დიდ თანხაზე აწერენ ხელს და ეს თანხები იქნე ნაღდად შეიქმნ. სოფ. ქვედა ბაგების (ლენინგორის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნიკო კუჩმაზოვმა ხელი მოაწერა 100.000 მანეთზე და მთელი ეს თანხა ნაღდად შეიტანა, სოფ. ზემო-როქის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ქალმა მართა პლიევამ ხელი მოაწერა 20.000 მან. სესხზე. მან ეს თანხა ნაღდად შეიტანა.

სამხრეთ-ოსეთის მშრომელებს შორის გასავრცელებლად ნავარაუდევი სესხის თანხა მარტო სამი დღის განმავლობაში ორმაგი გადაჭარბებით არის შესრულებული. ოლქის რაიონებს შორის სესხის გავრცელებაში ყველაზე წინ მიდის ლენინგორის რაიონი. სესხზე ხელმოწერა გრძელდება.

ლაგოდეხის რაიონი

ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘ („კომუნისტის“ საკ. კორ.). ლაგოდეხის რაიონში 7 ივნისისათვის მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენდა 5.112.000 მანეთს. აქედან ნაღდ ფულად შეტანილი იყო 4.074.000 მანეთი.

სოფელ ცოდნის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ტოკლიკაშვილმა, სოფ. ვარდისუბნის მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მაჭავარიანმა ხელი მოაწერეს 10.000 მანეთზე თითოეულმა და ეს თანხა იქნე დაჰფარეს. სოფ. შრომის კოლმეურნეობა „შრომის“ მოანგარიშემ ცაცა მახარაშვილმა ხელი მოაწერა 6.000 მანეთზე, რაც ნაღდად შეიტანა. ვარდისუბნის მაქსიმ გორკის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირებმა ბალიევმა, კაპანაძემ, აბულაშვილმა, თითბერიძემ და აბრამოვმა ხელი მოაწერეს 5.000 მანეთზე თითოეულმა და ეს თანხა ნაღდად შეიტანეს.

სოფ. თელის მე-16 პარტყრილების სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ვეშვილმა სესხზე ხელი მოაწერა 15.000 მანეთის რაოდენობით და ფული ნაღდად შეიტანა. იმავე კოლმეურნეობის მოანგარიშემ კ. ცერცვაძემ ნაღდად შეიტანა 4.000 მანეთი. სესხზე ხელმოწერა გრძელდება.

Ვ. ᲪᲘᲠᲔᲙᲘᲫᲔ

თბილისის რაიონი

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ რაიონის მშრომელებს 7 ივნისს დღის 4 საათისათვის ხელი მოწერილი ჰქონდათ 3.897.400 მანეთზე. აქედან ნაღდ ფულად შეტანილია 771.641 მანეთი.

ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნე ქალებმა და კაცებმა ხელი მოაწერეს 100,000 მანეთზე და ეს თანხა მთლიანად დაჰფარეს. სოლანლუღის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ხელი მოაწერეს 140.000 მანეთზე, რაც იმავე დღეს ნაღდ ფულად შეიტანეს. კოჯორის სასოფლო საბჭოს კოლმეურნეობის წევრებმა ხელი მოაწერეს 130.000 მანეთზე. აქედან ნაღდ ფულად შეიტანეს 120.000 მანეთი.

სოლანლუღის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ქიაჩარმ ყურბან ოღლი ალიევმა და კუმისის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვასილ ათაბეგოვმა ხელი მოაწერეს ექვს-ექვსი ათას მანეთზე და ეს თანხა იმავე დღეს შეიტანეს.

Გ. ᲪᲐᲜᲐᲕᲐ

ლანჩხუთის რაიონი

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ლანჩხუთის რაიონის მშრომელებმა 7 ივნისს საღამოს 8 საათისათვის მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელი მოაწერეს 4.891.000 მანეთის რაოდენობით. აქედან ნაღდად შეიტანეს 3.517.000 მანეთი.

რაიონის ბერეკ კოლმეურნეობაში სესხზე ხელის მოწერისთანავე შეიტანეს ნაღდი ფული. სოფ. ჩიბათის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა 150.000 მანეთზე მოაწერეს ხელი და ეს თანხა მთლიანად დაჰფარეს. სოფ. გვიმბალატრის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში ხელი მოაწერეს 73.000 მანეთზე და ეს თანხა იმავე დღეს დაჰფარეს. რაიონში მრავალმა კოლმეურნემ მოაწერა 10,000 და 15,000 მანეთზე. სესხზე ხელის მოწერა გრძელდება.

წულუკიძის რაიონი

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ („კომუნისტის“ საკ. კორ.). წულუკიძის რაიონის მშრომელებმ 6 ივნისის საღამოსათვის ხელი მოწერილი ჰქონდათ 3.174.000 მანეთზე, აქედან კოლმეურნეებსა და კოლმეურნეობებს — 1.924.000 მანეთზე. ამ თანხიდან ნაღდად შეტანილია 1.576.000 მანეთი.

ქალაქ წულუკიძის კოლმეურნეებმა ხელი მოაწერეს 193.000 მანეთზე, რაც იქვე დაჰფარეს. სოფ. კიცხის კოლმეურნეობა „დამჭვრელის“ წევრებმა ხელი მოაწერეს 59,000 მანეთზე, რაც ნაღდად შეიტანეს. სოფ. პატარა ჯიხაშის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა ხელი მოაწერეს 47,000 მანეთზე, სოფ. გორდის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა— 44.000 მანეთზე. ეს თანხები ნაღდად არის შეტანილი. სესხზე ხელის მოწერა გრძელდება.

Კ. ᲪᲐᲪᲣᲐ

აბაშის რაიონი

ᲐᲑᲐᲨᲐ („კომუნისტის“ კორ.). 7 ივნისს საღამოს 8 საათისათვის ახალ სესხზე ხელი მოაწერეს სულ 3.233.000 მანეთის რაოდენობით, აქედან ნაღდად შეტანილია 2.572.000 მანეთი.

სოფ. მარნის სტალინის სახელობის 45 კოლმეურნემ ნაღდად შეიტანა 62.400 მანეთი. ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. დუნდუამ შეიტანა 10.000 მანეთი. ასევე მთლიანად შეიტანეს ხელმოწერილი თანხა სოფ. ნაფსაკოვოს მახარაძის სახელობის, ნორიოს რუსთაველის სახელობის, პირველმაისის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობათა წევრებმა. სესხზე ხელმოწერა წარმატებით გრძელდება.

Თ. ᲩᲐᲒᲣᲜᲐᲕᲐ

ჩოხატაურის რაიონი

ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ („კომუნისტის“ საკ. კორ.). ჩოხატაურის რაიონში 7 ივნისს საღამოს 8 საათისათვის სესხზე ხელმოწერის თანხა შეადგენდა 2.879.000 მანეთს, ნაღდ ფულად შეტანილი იყო 677.000 მანეთი.

ლენინის, ჩაალოვის, დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობებში, ძირგანახლების კოლმეურნეობაში პირველ დღესვე ხელი მოაწერეს 85.000 მანეთზე. აქედან ნაღდად შეტანილია 28.500 მანეთი. შუაგანახლების კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შალვა ჯიბლაძემ ხელი მოაწერა 10.000 მანეთზე, რაც ნაღდად შეიტანა, ძირგანახლების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნოე დოლიძემ ხელი მოაწერა 8.000 მანეთზე, სოფ. ნაკადულის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სიმონ გაგუამ—5.000 მანეთზე, სოფ. ჭიაღობანის კოლმეურნეებმა არტემ და გიორგი ბარამიძეებმა—ათას-ათას მან- სესხზე ხელის მოწერა გრძელდება.

Ლ. ᲚᲝᲚᲐᲫᲔ

მაიაკოვსკის რაიონი

ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ რაიონში 6 ივნისისათვის მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე ხელის მოწერამ 2.500.000 მანეთს მიაღწია. მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 600,000 მანეთზე, კოლმეურნეებმა—1.609.000 მანეთზე და კოლმეურნეობებმა — 301.000 მანეთზე. კოლმეურნეებმა და კოლმეურნეობებმა ხელმოწერის თანხა ნაღდად შეიტანეს.

სოფ. მეორე ობჩის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ვახიძემ სახელმწიფოს სესხად მისცა 11.000 მანეთი, სოფ. საკრაულას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ჭუბმატრიძემ, სოფ. მაიაკოვსკის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ი. ხიზანეიშვილმა, ამავე კოლმეურნეობის წევრმა ი. ებანოიძემ, სოფ. პირველი ობჩის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ვ. კოხოძემ, ს. ვაჭარაძემ, პირველი ობჩის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა პ. და მ. პატარაძეებმა ხელი მოაწერეს თითოეულმა 10.000 მანეთზე და ეს თანხა მთლიანად დაჰფარეს.

რაიმიწგანის გამგემ მესხიშვილმა და დამცველთა კოლეგიის წევრმა თოდაძემ ხელი მოაწერეს ხუთ-ხუთი ათას მანეთზე. სესხზე ხელის მოწერა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) მაიაკოვსკის რაიკომის მდივანი ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲔ
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ᲛᲐᲜᲐᲜᲘᲐ

ხულოს რაიონი

ᲮᲣᲚᲝᲡ რაიონში 6 ივნისს საღამოს 6 საათისათვის სესხზე ხელმოწერის თანხამ 4.373.000 მანეთს მიაღწია, რაც 2.806.000 მანეთით აღემატება პირველ სახელმწიფო სამხედრო სესხზე მთლიანი ხელმოწერის თანხას.

კოლმეურნეები ხელს აწერენ მსხვილ თანხებზე. მაგალითად, სულიჯან თურმანიძემ ხელი მოაწერა 12.000 მანეთზე, მუჰამედ ბერიძემ—10.500 მანეთზე, იესუფ ფუტკარაძემ, ხასან წულუკიძემ, რიზალი მგელაძემ, იესუფ ირემაძემ, ხემბერ შავაძემ, ხემდი ნიკურაძემ, ჩახალ პაპიძემ, სულეიმან მიქელაძემ, ასლან პახსაძემ, ნური შამანაძემ, მერიჯან ხოჯალიძემ, ახმედ შანთაძემ, დემურალ კოჭალიძემ და იესუფ შანთაძემ ხელი მოაწერეს 10.000 მანეთზე თითოეულმა. 6 ივნისისათვის ნაღდად შეტანილი იყო 1.200.000 მანეთი. სესხზე ხელმოწერა გრძელდება.

საქ. კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომის მდივანი Ე. ᲢᲐᲪᲘᲫᲔ
რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე Დ. ᲛᲐᲛᲣᲚᲐᲫᲔ

ყაზბეგის რაიონი

ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ რაიონის მუშა-მოსამსახურეთა უმეტესობა ნაწილმა თვენახევრის ხელფასზე მოაწერა ხელი. რაიფინგანის უფროსმა ინსპექტორმა ს. ხეთაგურმა ხელი მოაწერა 2 თვის ხელფასზე. წარმატებით მიმდინარეობს სესხზე ხელის მოწერა სოფლად. სოფ. სნოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ პ. ჩიაშვილმა ხელი მოაწერა 4.500 მანეთზე. ამავე კოლმეურნეობის წევრებმა კ. გოდერძიშვილმა—2.000 მან. და დ. ფიალიშვილმა—2.500 მანეთზე, სოფ. სიონის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. კობაიძემ—2.000 მანეთზე, ერგეთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კ. სუჯაშვილმა—3.000 მანეთზე, ამავე კოლმეურნეობის წევრმა ნ. სუჯაშვილმა—1.000 მანეთზე, ა. სუჯაშვილმა—1.000 მანეთზე. სესხზე ხელის მოწერა გრძელდება.

Ა. ᲨᲐᲓᲣᲠᲘ

ონის რაიონი

ᲝᲜᲘ („კომუნისტის“ საკ. კორ.). 7 ივნისის საღამოს ცნობებით რაიონში სესხზე ხელმოწერა შეადგენდა 2.218.000 მანეთს. ნაღდ ფულად შეტანილია 925.000 მანეთი. შქმერის საოსფლო საბჭოში ხელმოწერა შეადგენდა 140.000 მანეთს, ყამშვილი—127.000 მანეთს, ზვარეთის—117.000 მანეთს, ცხმორის — 111.000 მანეთს. შქმერის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ილარიონ გაგნიძემ შეიძინა 10.000 მანეთის ობლიგაციები, ამავე კოლმეურნეობის ფერმის გამგემ დომენტი ჯოხაძემ—10.000 მანეთისა. სორის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სიმონ ხმალაძემ ხელი მოაწერა 3.000 მანეთზე.

Მ. ᲒᲔᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ამბროლაურის რაიონი

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამბროლაურის რაიონში 7 ივნისისათვის ხელმოწერის საერთო თანხა შეადგენდა 3.821.000 მანეთს. აქედან ნაღდად შეტანილია 270.000 მანეთი.

სოფ. ძირაგეულის კოლმეურნეობამ ხელი მოაწერა 24.600 მანეთზე, ამავე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აბელ გოლოვანმა — 10.000 მანეთზე. სოფ. სადმელის კოლმეურნეობის წევრებმა ხელი მოაწერეს 117.000 მანეთის სესხზე, ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გრიშა ჭელიძემ—20.000 მანეთზე. კოლმეურნეებმა ნიკოლოზ ჭელიძემ, რაფაელ იაშვილმა, კლავდია კობზონაძემ და ნიკოლოზ კერესელიძემ ხელი მოაწერეს 5.000 მანეთზე თითოეულმა.

ამბროლაურის მუშა-მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს ხუთ-ხუთი კვირის ხელფასზე, რაფაელ აშვილის თანამშრომლებმა შ. ცხვედიანმა, აკ. ლეკიშვილმა, ვ. ჯოხაძემ და ვ. ჯმუხაძემ ხელი მოაწერეს ექვს-ექვსი კვირის ხელფასზე.

Ვ. ᲕᲐᲩᲐᲫᲔ

მოსკოვი, კრემლი

ᲞᲐᲢᲘᲡᲪᲔᲣᲚᲘ ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲔᲡᲐᲠᲘᲝᲜᲘᲡ-ᲫᲔ!

წარსულში ჩვენ უუფლებო, უბედური მოქალაქენი ვიყავით. ყაზახეთის ხალხებზე საბჭოთა ხელისუფლების, ბოლშევიკური პარტიისა და პირადად თქვენი მზრუნველობის მეოხებით ჩვენ კულტურულ, შეძლებულ ცხოვრებას მივაღწიეთ.

წყეული გერმანელი ბანდიტები ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრნენ, რათა მოსპონ ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, რათა მონებად გადაგვაქციონ და საზარელი წარსული დაგვიბრუნონ, მაგრამ ეს არასოდეს არ მოხდება.

მე, როგორც ყოველ საბჭოთა ადამიანს, ერთი დიდი და სანუკვარი სურვილი მაქვს—რაც შეიძლება მალე გავანადგურო გერმანელი ფაშისტი ბანდიტები და ჰიტლერული სიბილწისაგან გავწმინდოთ წმიდათა-წმიდა საბჭოთა მიწა-წყალი. არაფერს არ დავიშურებ იმისათვის, რომ ეს სურვილი ამიხდეს, იმისათვის, რომ მთელმა ჩვენმა ქვეყანამ კვლავ დაიწყოს ცხოვრება თავისუფალი, ბედნიერი ცხოვრებით.

მე ვცდილობ მთელი ძალ-ღონით დავეხმარო გმირ წითელ არმიას მძვინვარე, მოსისხლე მტერთან მომავალ გადამწყვეტ ბრძოლებში და ხელს ვაწერ მეორე სახელმწიფო სამხედრო სესხზე 1.036.000 მანეთის რაოდენობით, რაც ნაღდ ფულად შემაქვს. მიღებული ობლიგაციები მთლიანად შემაქვს ჩვენ ქვეყნის თავდაცვის ფონდში.

დაე ჩემი სახსრებით აგებულმა მრისხანე საბრძოლო მანქანებმა გრიგალივით დაატეხონ თავს ცეცხლი და ნიაღვარივით დააყარონ ყუმბარები ფაშისტებს და დაიჩქარონ გერმანელ ავაზაკთა საბოლოო განადგურება.

მთელი სულითა და გულით გისურვებთ, ამხანაგო სტალინ, მრავალ წელს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

ᲙᲐᲚᲪᲔ ᲑᲔᲠᲓᲘᲑᲔᲙᲝᲕᲘ

**სამხრეთ ყაზახეთის ოლქის პატარა არალსკის რაიონის კარლ მარქსის სახელობ

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

6 ივნისის დილის ცნობა

5 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე მტრის ძლვერაკი რაზმი ცდილობდა 5 ნაწილის განლაგებაში შემოიეწია. საფარში მყოფმა მზვერავთა ჯგუფმა, უფროს ლეიტენანტ ივანოვის მეთაურობით, თავის დროზე შეამჩნია გერმანელები. ჩვენი მებრძოლები დაელოდნენ, სანამ ჰიტლერელები ახლოს მოვიდოდნენ, შემდეგ კი თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლი გააჩაღეს. მოსპობილია 30 ჰიტლერელი, დანარჩენებმა კი უწესრიგოდ დაიხიეს უკან. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ბალაკლეის რაიონში არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 4 ძელმიწური საცეცხლე წერტი, სათვალთვალო პუნქტი, მოსპობილია მოწინააღმდეგის სანაღმტყორცნო ბატარია და გაწყვეტილია 2 ოცეული გერმანელი. 5 ნაწილის სნაიპერებმა 42 ჰიტლერელი მოსპეს.

* * *

იზიუმის სამხრეთით ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოსპეს მოწინააღმდეგის მძიმე ქვემეხი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ გასწყვიტეს გერმანელთა 1 ასეულამდე ქვეითი ჯარი. 5 ნაწილის მზვერავები მდინარე სევერნი დონეცის მარჯვენა ნაპირზე გადავიდნენ და ჰიტლერელთა ჯგუფს დაესხნენ თავს. მოკლე ხნის შეტაკებაში ჩვენმა მებრძოლებმა მოსპეს 15 გერმანელი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი. მზვერავებმა ხელთ იგდეს ტყვეები, 2 ნაღმსატყორცნი, გრანატსატყორცნი, რამდენიმე შაშხანა და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

სევსკის რაიონში 5 ნაწილის ქვეგანაყოფები ადგილმდებარე მნიშვნელობის ბრძოლებს ეწეოდნენ. მოწინააღმდეგის პოზიციებზე საარტილერიო თავდასხმის შემდეგ ჩვენმა მებრძოლებმა იერიში მიიტანეს გერმანელებზე და მათს სანგრებში შეიჭრნენ. ამ ბრძოლაში მოსპობილია 100-მდე ჰიტლერელი, ხელთ ვიგდეთ ქვემეხი, 4 ტყვიამფრქვევი, შაშხანები და საომარი მასალის საწყობი.

ჩვენმა საზენიტო არტილერიამ გერმანელთა 3 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

* * *

იმ რაზმის პარტიზანებმა, რომელიც უკრაინის ერთ-ერთ რაიონში მოქმედებს, ლიანდაგიდან გადაადგეს გერმანელთა ორმაგი წევის სამხედრო ეშელონი, რომელიც ფრონტის ხაზისაკენ მიდიოდა. მოსპობილია 2 ორთქლმავალი, 36 ვაგონი სამხედრო ტვირთიანად, 3 ცისტერნი საწვავიანად. და 2 საკლასო ვაგონი. უკრაინელ პარტიზანთა სხვა რაზმმა იერიში მიიტანა გერმანელთა გარნიზონზე დასახლებულ პუნქტში და რამდენიმე ათეული ჰიტლერელი მოსპო. 80 გერმანელი ჯარისკაცი პარტიზანთა მხარეზე გადავიდა.

* * *

დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანელთა 296-ე ქვეითი დივიზიის ეფრეიტორი პაულ ნ. გადმოსულმა განაცხადა: „ომის დაწყებიდანვე გერმანული პრესა გვარწმუნებდა, რუსებს საპურველი არა ჰყოფნითო. გაზეთები შეადამ სწერენ, მთელი საბჭოთა მრეწველობის 60 პროცენტი გერმანელებმა ჩაიგდეს ხელშიო. ჯარისკაცები უძვე დიდი ხანია დარწმუნდნენ, რომ ყოველივე ეს სიცრუეა. რუსთა ტანკები უდიდესი რაოდენობით გამოდიან ბრძოლის ველზე, ხოლო საბჭოთა ავიაცია ძმიმე დარტყმებს გვაგემებს. განსაკუთრებით დიდი ზარალი მიაყენა უკანასკნელ ხანს არმიების ზურგს რუსეთის ბომბდამშენმა ავიაციამ. ბრიანსკზე თავდასხმის შედეგად დიდწვა საარმიო მნიშვნელობის დიდი საწყობი. სადგურზე ბომბები მოხვდა რკინიგზის ეშელონს ჯარებიანად და სასურსათო საწყობს. აპრილში მე გერმანიაში ვიყავი. გერმანიის ქალაქებზე ხშირ საჰაერო თავდასხმებთან დაკავშირებით ყველგან აღინიშნება დაღლილობა და ომით გამოწვეული უკმაყოფილების ზრდა. მიუხედნენი ერთი საჰაერო თავდასხმის დროს, რომლის მოწმეც მე ვიყავი, ინგლისის ბომბდამშენებმა ნოსპეს მედიკამენტების უზარმაზარი სამხედრო საწყობი. შტუტგარტში სავსებით დანგრეულია ქალაქის სადგურის შენობა. დიდი ნგრევა ვნახე აგრეთვე დიუსელდორფში“.

* * *

იუგოსლავიელმა პარტიზანებმა მოიგერიეს იტალიელ-გერმანელთა ჯარების მრავალი იერიში ფოჩა-პლევლიეს და ნიკშიჩ-იავორაკის უბნებზე. პარტიზანებთან ბრძოლებში ოკუპანტებს დიდი ზარალი მოუვიდათ. სლოვენიაში, ერთ-ერთი სამადნის მახლობლად პარტიზანებმა გასწყვიტეს 60 გერმანელი და ხელთ იგდეს დიდძალი საომარი მასალა. ერთ რკინიგზის სადგურზე თავდასხმისას პარტიზანებმა მოსპეს 25 სატვირთო ავტომობილი, 48 ვაგონი სამხედრო ქონებიანად, შათს რიცხვში 2 ვაგონი რადიოსადგურებიანად. ლიუბლიანა-ზიდანი მოსტის რკინიგზის უბანზე ლიანდაგიდან გადაგდებულია გერმანელთა ეშელონ-ტვირთიანად.

6 ივნისის საღამოს ცნობა

6 ივნისის განმავლობაში ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

გასული კვირის განმავლობაში, 30 მაისიდან 5 ივნისამდე ჩათვლით, საჰაერო ბრძოლებში, მტრის აეროდრომებზე საზენიტო არტილერიისა და ჯარების ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 752 თვითმფრინავი. ჩვენ ამავე ხნის განმავლობაში 212 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

5 ივნისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს სულ მცირე 30 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, ააფეთქეს სომარი მასალის საწყობი და 3 საწყობი საწვავიანად, ჩაახშეს საველე და საზენიტო არტილერიის 6 ბატარეის ცეცხლი, დაამსხვრიეს და დასწვეს რამდენიმე სარკინიგზო ეშელონი, ჩასძირეს მტრის 4 თვითმავალი საფეხსტო კარჭაპი და დაზიანეს 3 საგუშაგო კატერი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დაამსხვრიეს 10 ტყვიამფრქვევი ჩაახშეს 4 საარტილერიო და 2 სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. ერთ უბანზე 6 ნაწილის მზვერავმა რაზმმა იერიში მიიტანა ნტრის პოზიციებზე. ჩვენი მებრძოლები მტრის სანგრებში შეიჭრნენ და 100-მდე ჰიტლერელი გასწყვიტეს. მზვერავებმა შეასრულეს მათს წინაშე დასახული ამოცანა, ხელთ იგდეს ტყვეები და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

* * *

სევსკის რაიონში მტერი ცდილობდა დაებრუნებინა წინადღით დაკარგული პოზიციები და ქვეითი ჯარისა და 7 ტანკის ძალებით რამდენიმე კონტრიერიში მოიტანა. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს გერმანელთა ყველა კონტრიერიში და მტაციედ ინარჩუნებენ დაკავებულ პოზიციებს. უნაყოფო იერიშების დროს მტერმა მარტო მოკლულთა სახით 200-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. ჩვენმა მებრძოლებმა დაახრეს გერმანელთა 4 ტანკი, ხელთ იგდეს ქვემეხი, რამდენიმე ტყვიამფრქვევი, ავტომატები და შაშხანები. წამოყვანილია ტყვეები.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით ჩვენმა ნაწილებმა არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით მოსპეს გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი, 5 ავტომანქანა და 11 საზიდარი ტვირთიანად, დაანგრიეს მტრის 3 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 2 სათვალთვალო პუნქტი. 6 ნაწილის სნაიპერებმა 40 ჰიტლერელი დახოცეს.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს. არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით აფეთქებულია მტრის სომარი ნასალის საწყობი, მოსპობილია 6 ავტომანქანა და 20 საზიდარი ტვირთიანად, დანგრეულია მტრის 6 ძელმიწური საცეცხლე წერტი და 3 სათვალთვალო პუნქტი. ჩვენი ავიაციის მიერ საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 22 თვითმფრინავი. გარდა ამისა, მტრის 5 თვითმფრინავი მოსპობილია საზენიტო არტილერიის ცეცხლით.

* * *

პინსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი თავს დაესხა გერმანელთა გარნიზონს, რომელიც განლაგებული იყო დიდ დასახლებულ პუნქტში. შეუპოვარი ბრძოლის შედეგად პარტიზანებმა მოსპეს მტრის 150 ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 4 ნაღმსატყორცნი, 17 ტყვიამფრქვევი, 100-ზე მეტი შაშხანა და 20,000 ვაზნა. პოლესიელ პარტიზანთა ჯგუფმა ნაღმებზე აააფეთქა ფრონტისაკენ მიმავალი გერმანელთა ეშელონი. დამტვრეულია ორთქლმავალი, 2 პლატფორმა ავტომანქანებიანად და ვაგონი ჯარისკაცებიანად. მარცხის დროს სროლაში დახოცილია 50-მდე ჰიტლერელი. „სიკვდილი ფაშიზმს“ რაზმის პარტიზანებმა დახოცეს გერმანელთა ბადრაგა და გაათავისუფლეს საჰაოთა მშვიდობიანი მცხოვრებნი, რომლებსაც ჰიტლერელები საკატორღო სამუშაოებზე მიერეკებოდნენ გერმანიაში.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანელთა 161-ე ქვეითი დივიზიის ჯარისკაცმა კონრად ვ-მ განაცხადა: „ჩვენს ასეულში არის ჯარისკაცთა პატარა ჯგუფი, რომელიც უნტერ-ოფიცრის წოდებაზე ოცნებობს. ამ კარიერისტებისათვის ომი პროფესია გახდა. მათ იმედი აქვთ ძარცვა-გლეჯა გასწყრონ, ჭონება შეიძინონ და გამდიდრდნენ. დანარჩენი ჯარისკაცები შეშფოთებითა და ნერვების ძაძაბვით ელოდებიან მომავალ ბრძოლებს. ჩემი ამხანაგების განწყობილება სასოწარკვეთილია. ერთი მათგანი მეუბნებოდა: „სტალინგრადთან რუსებმა ჩვენ მოგვიწყეს უზარმაზარი „ქვაბი“, რომელშიც დაილუპა ფელდმარშალ პაულუსის არმია. გერმანიამ ომი სანახევროდ უკვე წაგო. მე არ მინდა საკუთარი ტყავი შევწიორო ამ წაგებას“. ჯარისკაცებს გულს უტეხენ წერილები გერმანიის ქალაქების დაბომბვის შესახებ“.

* * *

ლიუბლინის ახლოს (პოლონეთი) მიეკედინა, სახლეობის პარტიზანული რაზმი გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდა გერმანელთა სადაკსჯელო ექსპედიციასთან და ტერის მძიმე ზარალი მიაყენა. ჟირარდოვის მახლობლად პატრიოტებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 2 ეშელონი. ერთი მატარებლის მარცხის დროს მოკლულ იქნა 20 გერმანელი ოფიცერი და მრავალი ჯარისკაცი. სხვა რაიონში პარტიზანებმა თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით გერმანელთა 3 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

7 ივნისის დილის ცნობა

6 ივნისის ღამის განმავლობაში ფრონტზე არსებითი არაფერი მომხდარა.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაღმმტყორცნელებმა ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს მტრის პოზიციებზე, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს გერმანელთა 1 ასეულამდე ქვეითი ჯარი. მეტყვიამფრქვეველებმა ამხ. გუსკოვმა და ამანდიროვმა, რომლებიც საბრძოლო დაცვაში იყვნენ, გერმანელ მზვერავთა ჯგუფი გასწყვიტეს.

* * *

სევსკის რაიონში ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიში და მოსპეს 100-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. სხვა უბანზე 6 ნაწილის არტილერისტებმა მტრის დიდ ალაგს დაუშინეს და მოსპეს რამდენიმე ათეული საზიდარი ტვირთიანად.

* * *

ლისიჩანსკის რაიონში მტერი ორჯერ შეეცადა გადმოსულიყო მდინარე სევერნი დონეცის მარცხენა ნაპირზე. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მარჯვე ცეცხლით ჯალეტის რამდენიმე ათეული ჰიტლერელი და აიძულეს ისინი უკან დაეხიათ. საბჭოთა ავიაცია თავს დაესხა მტრის აეროდრომებს. დაბომბვის შედეგად გერმანელთა აეროდრომებზე ბევრგან აღნიშნულია ხანძარი და აფეთქებანი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით კანტიკუნტი საარტილერიო-სანაღმტყორცნო და თოფტორიაზე დაშვებულიყო. გერმანელი მფრინავები ტყვედ არიან წამოყვანილი.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით გერმანელებმა მთელ რიგ ადგილებში სცადეს ბრძოლით დაეზვერათ ჩვენი თავდაცვა. მაგრამ ყველგან უკუგდებულ იქნენ, ამასთან დიდად დაზარალდნენ. მტრის მზვერავმა ჯგუფმა მარტო ერთ უბანზე 70 ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგა მოკლულთა სახით. 5 საარტილერიო ნაწილმა მოსპო მოწინააღმდეგის 1 საარტილერიო და 2 სანაღმტყორცნო ბატარია, 15 საზიდარი ტვირთიანად და დაანგრია 3 ბლინდაჟი.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე 5 ნაწილის სნაიპერებმა მაისში მტრის 150 ჯარისკაცი და ოფიცერი გაჯალტეს. სნაიპერმა ამხ. მედვედევმა 23 გერმანელი მოჰკლა, სნაიპერმა ამხ. ბურლაცკიმ—20, სნაიპერმა ამხ. პერმიაკოვმა—15, ორდენოსანმა სნაიპერმა ვასილ ეგოროვმა მაისში 20 ჰიტლერელი მოჰკლა.

* * *

კალინინის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა უკანასკნელი დღეების განმავლობაში გერმანელთა 2 გარნიზონი გაანადგურა და 100-ზე მეტი ჰიტლერელი გაჯალტა. პარტიზანებმა ჯგუფური ცეცხლით ჩამოაგდეს გერმანელთა თვითმფრინავი „იუნკერს-88“. ამავე რაზმის ამფეთქებლებმა ლიანდაგიდან გადააგდეს გერმანელთა 2 ჯარის ეშელონი. კალინინელ პარტიზანთა სხვა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის ძატარებელი ჯარებიანად. ვაგონების ნამტვრევებქვეშ დიდძალი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი დაიღუპა.

* * *

წითელი არმიის მხარეზე გადმოსულმა გერმანიის მე-40 მოტომსროლელი პოლკის ჯარისკაცმა სიგიზმუნდ ნ-მ, ეროვნებით პოლონელმა, განაცხადა: „ჩვენს პოლკში გერმანელები უმცირესობას შეადგენენ. ისინი 40 პროცენტზე მეტნი არ არიან. ჯარისკაცთა უმრავლესობას პოლონელები, სლოვაკები და სხვები შეადგენენ. ჩვენ გვძულს გერმანელები. განა შემიძლია თუნდაც ერთი წუთით დავივიწყო, თუ რა უყვეს ჰიტლერელებმა ჩემს სამშობლოს. განა შემიძლია დავივიწყო, რომ გერმანელმა ბანდიტებმა ჩემი ოჯახი მშობლიური სოფლიდან განდევნეს, მეურნეობა, მიწები, საქონელი და მთელი ქონება წაართვეს. ჩვენი მეურნეობა გერმანელმა გრინკემ მითვისა, ჩემი ოჯახი კი გამოასახლეს ისე, რომ არაფრის წაღების უფლება არ მისცეს. სასირცხვილოდ მიმაჩნდა გერმანიის არმიაში სამსახური და გერმანელთა ფორმის ჩაცმა. მე მარჯვე მომენტი შევარჩიე, საგუშაგოზე ჩემთან ერთად მყოფი გერმანელი ობერ-ეფრეიტორი მოვკალი, ხელის ტყვიამფრქვევი წამოვიღე და რუსების მხარეზე გადმოვედი“.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა ვიტებსკის ოლქის სოფლები—ბაკანიხის, კანაშენკის, სტარინის და პორჩიის მშვიდობიან მცხოვრებთა ხოცვა-ყლეტა მოაწყეს. მარტო სოფელ ბაკანიხაში ჰიტლერელმა მკვლელებმა 112 მოხუცი, ქალი და ბავშვი დახვრიტეს და დასწვეს. ხოცვა-ყლეტას მარტო სოფლის ის მცხოვრებნი გადაურჩნენ, რომელთაც მოახერხეს ტყეში დამალულიყვნენ.

უკრაინელი ახალგაზრდობის წარმომადგენელთა მიჯნაგი

6 ივნისს შესდგა უკრაინელი ახალგაზრდობის წარმომადგენელთა მესამე მიტინგი.

მიტინგზე გამოვიდნენ — უკრაინის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. პიდტიჩენკო, საბჭოთა კავშირის გმირი, გვარდიის სერჟანტი დ. ოსტაპენკო, „კრასნოდონუგოლის“ № 7-10-ბის შახტის მუშა ქალი ა. კოროტკიხი, გვარდიის მაიორი — მფრინავი ს. შვეცია, საბჭოთა კავშირის გმირი, გენერალ-მაიორი ნაუმოვი, გერმანული კატორღიდან გამოქცეული უკრაინელი ქალიშვილი მ. ზადოროჟენკო, ვოროშილოვგრადელი ბასწავლებელი ქალი ა. ორლოვა, გერმანელ დამპყრობთაგან განთავისუფლებული სოფელ კონდრატშევკის (ხარკოვის ოლქი), კოლმეურნე ქალი მ. გრიგორიევა, უკრაინის სს რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი ფ. კოზიცკი.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს მომართვა უკრაინის ახალგაზრდობისადმი.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით გაუგზავნეს მისალმება უმაღლეს მთავარსარდალს საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ **სტალინს.**

მიტინგმა მისალმება გაუგზავნა უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვს. (საკდესი).

გერმანიის თვითმფრინავების თავდასხმა ქ. გორკიზე

5 ივნისს ღამით და 6 ივნისს ღამით მოწინააღმდეგის ავიაციამ, 100-მდე თვითმფრინავის ძალებით, სცადა თავს დასხმოდა ქ. გორკის, მტრის თვითმფრინავთა მეტი ნაწილი ქალაქის მისადგომებთან გაფანტულ იქნა ჩვენი ღამის ავიაგამანადგურებლების მიერ და საზენიტო არტილერიის ცეცხლით. მტრის რამდენიმე შემოჭრილმა თვითმფრინავმა უწესრიგოდ ჩამოაყარა ბომბები დასახლებულ უბნებში. მოყენებულია ერთგვარი მატერიალური ზიანი. სამოქალაქო მოსახლეობაში არის მსხვერპლი. თავდასხმების მოგერიებისას ჩამოგდებულია გერმანელთა 12 ბომბდამშენი. ჩვენს ავიაციას ზარალი არ მოსვლია.

დღეფეზე

ჩეჩჩიღის ჩრდილოეთ აფრიკაში ყოფნის გამო

ლონდონი, 6 ივნისი (საკდესი). ინგლისის ინფორმაციის სამინისტრო გადმოგვცემს, რომ, როგორც ალეირის რადიომ გვაუწყა, ჩერჩილი ჩავიდა ჩრდილოეთ აფრიკაში ამერიკის შეერთებული შტატების არმიის გენერალური შტაბის უფროსის, გენერალ მარშალის თანხლებით. ალეირის რადიოს კომენტატორის სიტყვით, მოლაპარაკება ჩრდილოეთ აფრიკაში განგრძობა იყო ვაშინგტონში წარმოებული მოლაპარაკებისა და მიზნად ისახავდა „ღერძის სახელმწიფოების წინააღმდეგ მაქსიმალურად მძლავრი დარტყმის გეგმის დეტალების შემუშავებას“. მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა, ომბერიის გენერალურ შტაბის უფროსმა ალან ბრუკმა, ჩრდილოეთ აფრიკაში მყოფ ინგლისელ ოფიცრებმა, ინგლისელ ოფიცრებმა ალენბაიმ, ალექსანდერმა, ტედერმა, ინგლისელ ადმირალებმა ბანფორდ-ტრეკერმა, ბონეტმა, ინგლისელ ავიაციის მარშალებმა ტელერმა, ლონგმორმა, ინგლისელ ინჟინერ-ადმირალ ლეონარდ ჰენრიმ, ინგლისელ ადმირალ ბანფორდ-ტრეკერმა, ინგლისელ ადმირალ ბონეტმა, ინგლისელ ავიაციის მარშალ ტელერმა, ინგლისელ ადმირალ